სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2025 წლის 23 ივნისს 10:00 საათიდან (მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ალ.გრიბოედოვის ქ. №8-10, , ოთახი №216) და დასრულდეს 2025 წლის 27 ივნისის 18:00 საათზე. სარეგისტრაციო განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გადმოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: konkursi@tsc.edu.ge);
3. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტის/კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა, პრეტენდენტებთან გასაუბრება, ასევე პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2025 წლის 11 ივლისისა.
4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის ვადად განისაზღვროს 4 (ოთხი) წელი, 2025 წლის 28 ივლისიდან 2029 წლის 28 ივლისის ჩათვლით პერიოდი.
5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი უნდა იყოს კონსერვატორიის აკადემიური ან კონსერვატორიის მოწვეული პერსონალი;
6. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტისათვის შემდეგი კრიტერიუმები:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი). მე-7 და/ან მე-8 დონეზე უმაღლესი სამუსიკო განათლება;

ბ) სასურველია უმაღლესი განათლების სფეროში აღმინისტრაციულ/აკადემიურ (მათ შორის მოწვეული პერსონალის) პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება;

გ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;

დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)" 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ძირითადი დოკუმენტების ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) ცოდნა;
- ბოლონიის პროცესიის შესახებ ზოგადი ცოდნა.

ე) სულ მცირე ერთი ევროპული უცხო ენის ფლობა B2 დონეზე.;
ვ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
თ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

7. კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- გუნდის მართვისა და მოტივირების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირი, წერითი);
- დელეგირების უნარი;
- სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების დამუშავებისა და შეფასების უნარი;
- შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების უნარი;
- პროექტების მართვის უნარი;
- შედეგზე ორიენტაციის უნარი
- შემჭიდროვებულ ვადებში გადაწყვეტილების მიღების უნარი;

8. სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე (იხ. განცხადების ფორმა);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4-ზე;
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის/ების) ასლი/ები და მათი აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მე-7 და/ან მე-8 დონეზე უმაღლესი სამუსიკო განათლება);
ზ) ცნობა კონსერვატორიიდან აკადემიური ან კონსერვატორიის მოწვეული პერსონალის პოზიციაზე მუშაობის შესახებ;
თ) უმაღლესი განათლების სფეროში ადმინისტრაციულ/აკადემიურ (მათ შორის მოწვეული პერსონალის) პოზიციაზე მუშაობის გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
ი) კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) დამადასტურებელი სერტიფიკატების, დიპლომების და სხვა ასლები;
კ) კონცეფცია და წლების მიხედვით დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა;
ლ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
მ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
ნ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი – შრომის წიგნაკი ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა;

დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიურ საბჭოს

მოქალაქე ——————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ხელმოწერა: ———————————————————————— თარიღი: ————————————————————————————

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა